

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“

*ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების
პროცედურები*

2021 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	3
მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანი.....	3
მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების არე	3
მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა	3
მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები	4
მუხლი 6. ხარისხის შიდა და გარე შეფასება.....	4
მუხლი 7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ინსტრუმენტები.....	5
მუხლი 8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშგება და შედეგების გამოყენება..	18

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის მთავარი პრინციპებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანი

2.1 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია:

- ა) უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- ბ) რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა;
- გ) უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- დ) უნივერსიტეტის საქმიანობის დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნულის მიღწევის მიზნით, თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან/თანამდებობის პირთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების არე

ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამები
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- გ) სასწავლო პროცესი;
- დ) კვლევა;
- ე) მართვის პროცესები.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.

- ა) **დაგეგმე - Plan:** ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვით, რაც გულისხმობს შეფასების პროცესისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების დაგეგმვას;
- ბ) **განხორციელე - Do:** დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელება, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას; მიღებულ შედეგებზე რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას;
- გ) **შეაფასე - Check:** განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება, ცვლილებების შედეგად მიღებული რეზულტატის შეფასება, შესაბამისად, განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების, ანუ, პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასება;
- დ) **განავითარე - Act:** შეფასების შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელება (გამოყენებულ მექანიზმებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების, შეფასების ინსტრუმენტების და ა.შ. გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში განახლება და დამტკიცება პროცესის დახვეწის მიზნით).

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის შემადგენლობაშიც შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები.

ხარისხის კულტურის დამკვიდრებისა და უზრუნველყოფის პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული და თანამშრომელი შესაბამისი პასუხისმგებლობის ფარგლებში.

მუხლი 6. ხარისხის შიდა და გარე შეფასება

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს შიდა და გარე შეფასებას, რაც ხელს უწყობს ქუთაისის უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ხარისხის გარე შეფასება მოიცავს:

- ა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ავტორიზაციის, აკრედიტაციის და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ / იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს / გასაუმჯობესებელ ასპექტებს;
- ბ) საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგად გამოვლენილ / იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს / გასაუმჯობესებელ ასპექტებს;

გ) ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ გამოვლენილ/იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს/ გასაუმჯობესებელ ასპექტებს;

დ) პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების და სხვა გარე შემფასებლების მიერ გამოვლენილ / იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს / გასაუმჯობესებელ ასპექტებს.

ხარისხის შიდა შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მექანიზმების მეშვეობით.

მუხლი 7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ინსტრუმენტები

7.1 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

ა) სწავლა-სწავლება და მომსახურება (საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი და სასწავლო პროცესი);

ბ) კვლევა - კვლევითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება და ანალიზი;

გ) მართვის პროცესები - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება.

7.2 ზემოაღნიშნული მიმართულებების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგ რეგულაციებზე დაყრდნობით:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- პერსონალის შერჩევის წესი;
- სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა კონტინენტის მონიტორინგის პროცედურა;
- კმაყოფილების კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო;

- საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების წესი;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;
- კვლევის დაფინანსების წესი;
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- უნივერსიტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა.

7.3 ზემოაღნიშნულ რეგულაციებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით:

7.3.1 სწავლა-სწავლება და მომსახურება

საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასება და ხარისხის უზრუნველყოფა.

ა) საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები - დოკუმენტი არეგულირებს პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცედურებს და ინსტრუქციებს; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და ცვლილებების შეტანის სქემას; საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს. დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებულია პროგრამის დიზაინის და სასწავლო კურსების სილაბუსების ფორმა.

შეფასების ინსტრუმენტი:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის ფორმა, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ;

საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმა;

საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების დასაბუთების ფორმა;

პროგრამის არაკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების ფორმა;

სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;

კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;

დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

შეფასება ციკლური ხასიათისაა და ითვალისწინებს პროცედურების განხორციელების კონკრეტულ ეტაპებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაინტერესებული მხარეების გამოკითხვი შედეგების, ასევე პროგრამის ხელმძღვანელების შეფასებების საფუძველზე ახდენს ნაკლოვანებების იდენტიფიცირებას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გაუმჯობესების მიზნით გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ ხდება პროგრამის განმეორებითი შეფასება. პროგრამის გაუქმების /არაკრედიტებულ რეჟიმში გადაყვანის შემთხვევაში ხდება გაუქმების მიზეზებისა და აუცილებლობის დასაბუთება, ამასთანავე სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობით უზრუნველყოფის შეფასება და დადასტურება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია - დოკუმენტის ფარგლებში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, პროცესები, შეფასების შედეგების აღწერა და შეფასების შედეგებზე რეაგირების ეტაპები და ფორმები.

შეფასების ინსტრუმენტი:

საგანმანათლებლო პროგრამის დანართი - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;

კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;

დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;

საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმა.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ხორციელდება მონაცემების გაწერილი პერიოდულობით შეგროვება და შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამების მუდმივი განვითარება (რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭირო ცვლილებების განხორციელებას: სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის, გამოყენებული ლიტერატურის, სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმის და ა.შ. მოდიფიცირებას).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დოკუმენტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნიშნულებს რაოდენობის დადგენის მიზნით. დოკუმენტის ფარგლებში განსაზღვრულია სასწავლო კურსებზე ჯგუფში დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა და აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დაშვებული აკადემიური საათების მაქსიმალური რაოდენობა.

შეფასების ინსტრუმენტი:

პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ფორმა;

სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

პროცესი ციკლური ხასიათისაა და ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის მუდმივ შეფასებას, განვითარებას და მიღებული შედეგების პროგრამის გაუმჯობესების მიზნით უწყვეტად გამოყენებას. შეფასებაში მონაწილეობენ სტუდენტები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღება, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაო საათები, პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის დაშვებული საათობრივი დატვირთვა, აკადემიური და დამოწვეული პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით დადგენილი სამიზნე ნიშნულები, აღნიშნულზე დაყრდნობით თითოეული პროგრამისთვის დგინდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სათანადო რაოდენობა.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფა

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი - დოკუმენტი არეგულირებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების, ასევე, მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს.

პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასება ხელს უწყობს სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, შემოქმედებითი ინიციატივის გაღვივებას, რაც მიმართულია უნივერსიტეტის განვითარებისა და ხარისხის ამაღლებისკენ. წესი ითვალისწინებს წინასწარ გაცხადებული შეფასების პროცედურებს და კრიტერიუმებს, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობას, თანასწორობის პრინციპების დაცვას.

შეფასების ინსტრუმენტი:

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის ფორმა;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასების ფორმა;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დეკანის მიერ შეფასების ფორმა;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ფორმა;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ შეფასების ფორმა;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საგამოცდო ცენტრის მიერ შეფასების ფორმა;

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების კითხვარი;

მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების ფორმა;

აკადემიური პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების ფორმა.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

პროცესი ციკლური ხასიათისაა და ითვალისწინებს სასწავლო ან/და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირების მუდმივ შეფასებას, განვითარებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების მუდმივ ხელშეწყობას. შეფასებაზე დაყრდნობით ხორციელდება შეფასების შედეგებზე რეაგირება, რაც ითვალისწინებს პერსონალის წახალისებისა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენებას.

პერსონალის შერჩევის წესი - დოკუმენტის მიზანია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლა-სწავლების პროცესის მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალით უზრუნველყოფა, მათდამი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა და მიღების/შერჩევის პროცესის წარმართვა დადგენილი პროცედურებით.

მკაფიოდ გაწერილი მიღების პროცედურები, კონკურსანტის შეფასების წინასწარ გაცხადებული კრიტერიუმები, კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა და შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა ხელს უწყობს პროცესების გამჭვირვალობას, საჯაროობას, სანდოობას, თანასწორობის პრინციპების დაცვას, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში საუკეთესო პერსონალის შერჩევას.

შეფასების ინსტრუმენტი:

საჩვენებელი ლექციის შეფასების ფორმა;

გასაუბრების შეფასების ფორმა.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

დოკუმენტის ფარგლებში გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შერჩევის პროცედურები გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით გადახედვას ექვემდებარება საკონკურსო ეტაპების ფარგლებში იდენტიფიცირებული პროცედურული ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებული ნაკლოვანებების შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამის დაინტერესებული პირების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელის შეფასებები ასევე იძლევა პერსონალის მიღების პროცედურების შეფასების საშუალებას, აღნიშნულზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება დოკუმენტის გადახედვა პროცესების სრულყოფის/გაუმჯობესების მიზნით.

სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები - დოკუმენტი ემსახურება სწავლების პროცესში ჩართული პირების განვითარების ხელშეწყობას, საჭიროებების იდენტიფიცირებას, კოლეგებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას, ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის დანერგვას.

შეფასების ინსტრუმენტი:

სააუდიტორიო მუშაობის შეფასების ფორმა;

სააუდიტორიო მუშაობის შეფასების შემაჯამებელი ანგარიშის ფორმა.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

სააუდიტორიო მუშაობის შეფასებაციკლური ხასიათისაა და ითვალისწინებს სააუდიტორიო მუშაობის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას, გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას. შედეგების ანალიზის საფუძველზე ისახება გაუმჯობესების გზები, შესაძლოა ხანხორციელდეს სააუდიტორიო საქმიანობის განმეორებითი შეფასებააღნიშნული ხელს უწყობს სწავლების პროცესის უწყვეტად გაუმჯობესებას.

გ) სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დოკუმენტი განსაზღვრავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ რეგულაციებს, აკადემიური წლის/ სემესტრის დაწყების/ დასრულების პერიოდს, სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს, სტუდენტის შეფასების სისტემას, კვალიფიკაციის მინიჭების წესს და არჩევით სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის პროცედურებს. დოკუმენტი ემსახურება სასწავლო პროცესის გამართულად ორგანიზებას.

შეფასების ინსტრუმენტი:

სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დოკუმენტი და დოკუმენტით გაწერილი პროცედურები ექვემდებარება გადახედვას პროცესების სრულყოფის/გაუმჯობესების მიზნით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია - დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესში აქტიურად და შეუფერხებელ ჩართვას, საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით. დოკუმენტის მიზანია, ასევე, მოხდეს შიდა/გარე მობილობის მონაწილე სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა იმ

შემთხვევაში, როცა საგანმანათლებლო პროგრამის განახლების შემდეგ ვერ დასტურდება განახლებული საგანმანათლებლო პროგრამის რომელიმე სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევა ცვლილებამდელი სასწავლო გეგმით და სტუდენტს უწევს საგანმანათლებლო პროგრამის რომელიმე კომპონენტის ან კომპონენტების დამატებით გავლა აღნიშნული შედეგის მიღწევის მიზნით.

შეფასების ინსტრუმენტი:

შიდა / გარე მობილობის მონაწილე სტუდენტებისთვის კრედიტების თავსებადობის / აღიარების / ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ფორმა

საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ფორმა;

მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის ფორმა;

სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებული ინდივიდუალური გეგმის შეფასება ხდება მობილობით გადმოსული სტუდენტების და სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების გამოკითხვით. შეფასების საფუძველზე აღმოჩენილი ნაკლოვანებების შედეგად დოკუმენტი ექვემდებარება გადახედვას პროცესების სრულყოფის/გაუმჯობესების მიზნით.

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია - დოკუმენტი ადგენს უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესს, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს. მეთოდოლოგიის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კონტინგენტის ფარგლებში შესაბამის პროგრამებზე/მიმართულებებზე/ფაკულტეტებზე სტუდენტთა ადექვატური გადანაწილება, საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად, მაღალ დონეზე ადმინისტრირების და თითოეული სტუდენტისთვის ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით.

შეფასების ინსტრუმენტი:

კონტინგენტის გამოთვლის ცხრილი;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის ანალიზის საფუძველზე ხდება სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლის მეთოდოლოგიის შეფასება. გამოვლენილი ნაკლოვანებების შემთხვევაში ხორციელდება დოკუმენტის ფარგლებში დადგენილი ნიშნულებისა და კონტინგენტის გამოთვლის პროცესების სრულყოფა/გაუმჯობესება პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით.

კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა - დოკუმენტის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში სტუდენტთა ჩარიცხვით არსებული ნიშნულების კონტროლი და უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული სტუდენტების საერთო რაოდენობის გადაჭარბების პრევენცია. რეგულაცია ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ მდგრადობას და სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგეგმვას.

შეფასების ინსტრუმენტი:

დასკვნის ფორმა კონტინგენტის რიცხოვნობის განსაზღვრისა და მონიტორინგის შესახებ.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით პროცედურა ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგს. დასკვნის საფუძველზე სტუდენტთა რიცხოვნობის მონიტორინგის პროცესში გადაჭარბების რისკის დადგომა იწვევს პროცედურის ფარგლებში დაგეგმილი მისაღები ადგილების გადახედვას.

კმაყოფილების კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო - დოკუმენტი წარმოადგენს უნივერსიტეტში კვლევების განხორციელების სახელმძღვანელოს. იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა მუდმივად იზრუნოს საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების და სხვა საუნივერსიტეტო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე, უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს, აუცილებელია დანერგოს სხვადასხვა ტიპის კვლევები. კვლევების მიზანია ხელი შეუწყოს, როგორც შიდასაუნივერსიტეტო გარემოს გამოწვევების იდენტიფიცირებას, ისე, გარე აქტორების საჭიროებების დადგენას. სახელმძღვანელოს მიზანია კვლევების განხორციელების, ანალიზის და რეპორტირებისთვის შექმნას სტანდარტიზებული გზამკვლევი.

კვლევის სახელმძღვანელოში აღწერილია დაგეგმილი შიდა და გარე კვლევების ტიპები, მათი განხორციელების პერიოდულობა და მეთოდოლოგია. დოკუმენტს ახლავს გამოკითხვის ინსტრუმენტები / კითხვარები, რომელსაც უნივერსიტეტი პერიოდულად გამოიყენებს პროცესებზე თვალყურის დევნებისთვის და მისი გაუმჯობესებისთვის.

კვლევების შედეგების გაანალიზება ეხმარება უნივერსიტეტს განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძლევადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

შეფასების ინსტრუმენტი:

სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კითხვარი;

მოზილობით გადმოსული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა;

- მობილობით გადასული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა;
- სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;
- კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;
- დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების კითხვარი;
- სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი;
- სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კითხვარი;
- სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი
- საგამოცდო პროცესების შეფასების კითხვარი;
- საერთაშორისო აკადემიური მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;
- საერთაშორისო აკადემიური მობილობით პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარი
- კვლევის შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშის ფორმა;
- გამოკითხვის შედეგებზე რეაგირებების ანალიზის ფორმა.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

კვლევის ჩატარებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია განხილულ იქნას კვლევის ინსტრუმენტების - კითხვარების გადახედვის საჭიროება, შესაბამისად, დოკუმენტი თანდართული დანართებით ექვემდებარება მუდმივ გადახედვას გაწერილი პროცედურების და ინსტრუმენტების სრულყოფის/ გაუმჯობესების მიზნით.

გამოკითხვის/კვლევის შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების პროცესის, კვლევის ხელშეწყობის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის და ორგანიზაციის მართვის პროცესების მუდმივად გაუმჯობესების მიზნით. გამოკითხვის შედეგებზე რეაგირებას ახდენს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. სტრუქტურული ერთეულების მიერ შედეგებზე რეაგირების მიზნით გადადგმული და დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ ანგარიში ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. განხორციელებული რეაგირებების შეფასებას და დაგეგმილი ნაბიჯების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტრუქტურული ერთეულის/პირის კურატორ ვიცე-რექტორთან ერთად.

საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი - დოკუმენტის ფარგლებში რეგულირდება საგამოცდო პროცესის საორგანიზაციო საკითხები, რეგულაცია ხელს უწყობს პროცესების გამჭვირვალე და

სამართლიან განხორციელებას, საგამოცდო საკითხების კონფიდენციალურობის დაცვას, რაც თავისმხრივ ემსახურება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

შეფასების ინსტრუმენტი:

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში;

სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

საგამოცდო პროცესების შეფასების კითხვარი.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიშის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს პროცესების შეფასებას, მხედველობაში მიიღება სტუდენტების და აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის, ასევე, საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები. ანალიზის საფუძველზე დოკუმენტი და დოკუმენტით გაწერილი პროცედურები ექვემდებარება გადახედვას პროცესების სრულყოფის/გაუმჯობესების მიზნით.

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი - დოკუმენტი არეგულირებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესებს, დოკუმენტის ფარგლებში განსაზღვრულია საბაკალავრო ნაშრომის შერჩევისა და დამტკიცების პროცედურები, ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, მათი მოვალეობები, მათი მხრიდან ნაშრომის შეფასების საკითხები. დოკუმენტი ასევე არეგულირებს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საკითხებს, დაცვის კომისიის შემადგენლობას, კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების და სტუდენტის მიერ შედეგების გასაჩივრების საკითხებს. დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებულია ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და დაცვის კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შეფასების ფორმები. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურასა და ტექნიკურ გაფორმებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. დოკუმენტის ფარგლებში განსაზღვრული წესების დაცვით ნაშრომის შესრულების რეგულირება ემსახურება საბაკალავრო ნაშრომების ხარისხის ამაღლებასა და გაუმჯობესებას, რაც შესაბამისად ხელს უწყობს და უზრუნველყოფს საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

შეფასების ინსტრუმენტი:

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ფორმა;

საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასების ფორმა;

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიის მიერ შეფასების ფორმა.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

საბაკალავრო ნაშრომების შეფასების შედეგად გამოვლენილი ნაშრომების ხარისხი და საყურადღებო მომენტები გაანალიზდება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაძლოა გადაიხედოს

და დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების მოთხოვნები და პროცედურები ან შესაძლოა გადაიხედოს შეფასების მიდგომები და კრიტერიუმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესი - დოკუმენტი არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესებს, კერძოდ, დოკუმენტით განისაზღვრება პრაქტიკის კომპონენტზე სტუდენტების განაწილებისა და დამტკიცების წესი, პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის მოვალეობები, კომპონენტის შესრულების მოთხოვნები და პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის მიერ კომპონენტის შეფასების საკითხები. დოკუმენტი ასევე არეგულირებს პრაქტიკის კომპონენტის დაცვის საკითხებს, დაცვის კომისიის შემადგენლობას, ასევე, სტუდენტის მიერ შედეგების გასაჩივრების საკითხებს. დოკუმენტის ფაგლებში შემუშავებულია პრაქტიკის დღიურის ფორმა, რომელიც ემსახურება პრაქტიკის კომპონენტის სტუდენტის მიერ შესრულების შესახებ ინფორმაციის მობილიზებას. დოკუმენტის ფარგლებში განსაზღვრული წესების დაცვით პრაქტიკის კომპონენტის შესრულების რეგულირება ხელს უწყობს და უზრუნველყოფს კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

შეფასების ინსტრუმენტი:

პრაქტიკის დღიურის ფორმა;

სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასება;

სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

პრაქტიკის კომპონენტის შეფასების შედეგად გამოვლენილი კომპონენტის შესრულების ხარისხი და საყურადღებო მომენტები გაანალიზდება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაძლოა გადაიხედოს და დაიხვეწოს პრაქტიკის შესრულების მოთხოვნები და პროცედურები ან შესაძლოა გადაიხედოს შეფასების მიდგომები და კრიტერიუმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.

7.3.2 კვლევა

კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება და ანალიზი.

ა) აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები - დოკუმენტი არეგულირებს ქუთაისის უნივერსიტეტის კადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს. ითვალისწინებს უნივერსიტეტის ვალდებულებებს, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს.

შეფასების ინსტრუმენტი:

აკადემიური პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

აკადემიური პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევისა და კვლევაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე აფილირების წესი ექვემდებარება გადახედვას პროცესების/პირობების სრულყოფის/ გაუმჯობესების მიზნით.

ბ) კვლევის დაფინანსების წესი - დოკუმენტი ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ კვლევის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, პროცესების გამჭვირვალობას და მაღალი კონკურენციის გზით ღირებული კვლევის დაფინანსებას.

შეფასების ინსტრუმენტი:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიშის ფორმა;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კითხვარი.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგების და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიშის საფუძველზე ხდება მონაცემების ანალიზი. ანგარიში ითვალისწინებს როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ასევე, საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მონაცემებს (პროექტში მონაწილეობის მიღების სტატისტიკა, შესარჩევი ეტაპის გადალახვის სტატისტიკა, დაფინანსების სტატისტიკა). აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით წესი ექვემდებარება გადახედვას მასში გაწერილი ხელშეწყობის პროცესების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით.

გ) აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი - იხ. წინამდებარე დოკუმენტის მუხლი 7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ინსტრუმენტები, პუნქტი 7.3, ქვეპუნქტი 7.3.1 (ბ).

დ) პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები - დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ობიექტურ განხორციელებას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას, ასევე, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას.

დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე, ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტებზე და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გამოცემებში ჩართულ პირებზე.

შეფასების ინსტრუმენტი:

ელექტრონული პლატფორმა - StrikePlagiarism.com;

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში;

სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიში.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით მიღებული შედეგების და საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიშის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ძირითადი საგანმანათლებლო და სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით მუშაობს აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ამაღლებაზე.

ე) სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი - დოკუმენტი არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მოთხოვნებსა და პროცედურებს, კერძოდ, ნაშრომის ხელმძღვანელისა და თემის შერჩევის პროცედურებს, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურასა და გაფორმების წესებს, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემას, ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების მოთხოვნებს, დაცვის კომისიის შემადგენლობასა და კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს. დოკუმენტის ფარგლებში განსაზღვრული წესების დაცვით ნაშრომის შესრულების რეგულირება ემსახურება სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლებასა და გაუმჯობესებას. შესაბამისად, დოკუმენტი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არსებული კვლევითი კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

შეფასების ინსტრუმენტი:

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა;

სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის დასკვნა;

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიის მიერ შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები; ინფორმირებული თანხმობა.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

სამაგისტრო ნაშრომების შეფასების შედეგად გამოვლენილი ნაშრომების ხარისხი და საყურადღებო მომენტები გაანალიზდება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაძლოა გადაიხედოს და დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მოთხოვნები და პროცედურები ან შესაძლოა გადაიხედოს შეფასების მიდგომები და კრიტერიუმები, რათა გაძლიერდეს საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არსებული კვლევითი კომპონენტი და უზრუნველყოფილ იქნას კვლევითი კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.

7.3.3 მართვის პროცესები

ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება და ანალიზი.

ა) **უნივერსიტეტის დებულება; უნივერსიტეტის სტრუქტურა** - დოკუმენტი არეგულირებს უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვის პროცესებს. ადგენს და განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობებს, სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციურ კავშირს და დაქვემდებარებას უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ეფექტურად განხორციელების მიზნით.

შეფასების ინსტრუმენტი:

ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კითხვარი.

შედეგების გამოყენების პროცედურა:

პროცესი ციკლური ხასიათისაა და გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილი სტრუქტურული ერთეულების ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება შესაბამის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს შემდგომი რეაგირებისთვის, მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

მუხლი 8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშგება და შედეგების გამოყენება

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურს/სტრუქტურულ ერთეულს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს განხორციელებული რეაგირება და მოხდეს სამომავლოდ დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაგეგმილი რეაგირებების შესრულებას მონიტორინგს უწევს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების კურატორ ვიცე-რექტორთან ერთად. დაგეგმილი აქტივობების შეუსრულებლობა ობიექტური გარემოების/მიზეზის არ არსებობის შემთხვევაში, ჩაითვლება სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების მხრიდან ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად და შესაძლებელია მოჰყვეს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წლიური ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ წარედგინება ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორს, მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებისა და გაანალიზების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით. ანგარიში ანგარიში გაცნობისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის მიერ წარედგინება მმართველ საბჭოს.